ვინც იტყვის როცა გაიგონებს აზანს: "ო ალლაჰ , ამ სრულყოფილი მოწოდებისა და აღსრულებული ლოცვის მეუფევ! მიანიჭე მუჰამმადს ვასილა და ფადილა, და მიანიჭე მას ქებული ადგილი, რომელიც მას აღუთქვი". მას ექნება განკითხვის დღეს ჩემი შუამდგომლობა

გადმოცემულია ჯააბირ იბნ აბდულლაჰისგან (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მათით), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც იტყვის როცა გაიგონებს აზანს: "ო ალლაჰ , ამ სრულყოფილი მოწოდებისა და აღსრულებული ლოცვის მეუფევ! მიანიჭე მუჰამმადს ვასილა და ფადილა, და მიანიჭე მას ქებული ადგილი, რომელიც მას აღუთქვი". მას ექნება განკითხვის დღეს ჩემი შუამდგომლობა».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვიხსნის, რომ ვინც მუეზინის სიტყვების მოსმენის შემდეგ, როცა იგი დაასრულებს, იტყვის: „ალლაჰუმმა რაბბა ჰაზიჰი დდა'ვათი“ – ო ალლაჰო, ამ მოწოდების მფლობელო, რაც ნიშნავს აზანის იმ სიტყვებს, რომლითაც ხალხს მოუწოდებენ ალლაჰის მსახურებისა და ლოცვისკენ. „ათ-თაამმა“ – სრულყოფილი მოწოდება, რომელიც მოიცავს თაჰიდს (ერთღმერთიანობას) და არ-რისალა - მოციქულის გზავნილს. „ვა სსალაათილ ყააიმა“ – მუდმივი და დადგენილი ლოცვა, რომელიც უნდა აღსრულდეს. „აათი“ – მიანიჭე, უბოძე. „მუჰამმად ალ-ვასიილა“ – მიანიჭე მუჰამმად მოციქულს ვასილა, რაც არის უმაღლესი პოზიცია სამოთხეში, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას). „ვალ ფადიილათა“ – აღმატებული ადგილი, რომელიც ყველა ქმნილების ადგილებზე მაღალია. „ვაბ'ასჰუ“ – აღადგინე იგი და მიანიჭე მას "მაყაამან მაჰმუუდან“ – ადგილი, რომელშიც ის იქნება ქებული, რაც გულისხმობს აღმდგომის დღეს დიდ შუამდგომლობას. „ალლაზიი ვა'ადთაჰუ“ – ის, რასაც დაჰპირდი, როგორც ალლაჰმა თქვა: „'ასაა ან იაბ'ასუქა რაბბუქა მაყაამან მაჰმუუდან“ – «შეიძლება, შენი ღმერთი აგამაღლოს ქებულ ადგილზე». (სურა ალ-ისრაჰ, 79). ვინც ამ ვედრებას წარმოთქვამს, იგი იმსახურებს და აუცილებლად მიიღებს მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შუამდგომლობას აღდგომის დღეს.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee